

სს ჯორჯია დესთინეიშენ მენეჯმენტი

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-19

სს ჯორჯია დესთინიშენ მენეჯმენტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	79,467	114,001
არამატერიალური აქტივები		1,788	7,905
სულ გრძელვადიანი აქტივები		81,255	121,906
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	749,947	1,025,474
საგადასახადო აქტივი		267,206	298,491
გაცემული სესხი		22,863	-
ფული და ფულის ექვივალენტები	6	191,258	210,871
სულ მიმდინარე აქტივები		1,231,274	1,534,836
სულ აქტივები		1,312,529	1,656,741
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
სულ გაუნაწილებელი მოგება		160,047	259,377
სულ კაპიტალი	7	160,047	259,377
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	24,087
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	24,087
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	1,127,518	1,348,313
მოკლევადიანი სესხები		24,964	24,964
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,152,482	1,373,277
სულ ვალდებულებები		1,152,482	1,397,364
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,312,529	1,656,741

გიორგი შენგელია

გენერალური დირექტორი

3 თებერვალი 2021

სს ჯორჯია დესთინიშენ მენეჯმენტი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	79,467	114,001
არამატერიალური აქტივები		1,788	7,905
სულ გრძელვადიანი აქტივები		81,255	121,906
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	749,947	1,025,474
საგადასახადო აქტივი		267,206	298,491
გაცემული სესხი		22,863	-
ფული და ფულის ექვივალენტები	6	191,258	210,871
სულ მიმდინარე აქტივები		1,231,274	1,534,836
სულ აქტივები		1,312,529	1,656,741
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
სულ გაუნაწილებელი მოგება		160,047	259,377
სულ კაპიტალი	7	160,047	259,377
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	24,087
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	24,087
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	1,127,518	1,348,313
მოკლევადიანი სესხები		24,964	24,964
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,152,482	1,373,277
სულ ვალდებულებები		1,152,482	1,397,364
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,312,529	1,656,741

გიორგი შენგელია

გენერალური დირექტორი

3 თებერვალი 2021

სს ჯორჯია დესთინეიშენ მენეჯმენტი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	9	18,358,330	23,011,374
თვითღირებულება	10	(15,225,410)	(20,464,245)
მთლიანი მოგება		3,132,920	2,547,129
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(3,215,677)	(2,328,341)
წმინდა მოგება / (ზარალი)	12		
კურსთაშორისი სხვაობიდან		(50,398)	(127,232)
სხვა შემოსავალი		41,179	211,349
სხვა ხარჯები		(7,354)	(195,234)
მოგება დაბეგვრამდე		(99,330)	107,671
მოგების გადასახადის ხარჯი	13	-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(99,330)	107,671
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(99,330)	107,671

გიორგი შენგელია

გენერალური დირექტორი

3 თებერვალი 2021

სს ჯორჯია დესთინიშენ მენეჯმენტი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	9	18,358,330	23,011,374
თვითღირებულება	10	(15,225,410)	(20,464,245)
მთლიანი მოგება		3,132,920	2,547,129
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	11	(3,215,677)	(2,328,341)
წმინდა მოგება / (ზარალი)	12		
კურსთაშორისი სხვაობიდან		(50,398)	(127,232)
სხვა შემოსავალი		41,179	211,349
სხვა ხარჯები		(7,354)	(195,234)
მოგება დაბეგრამდე		(99,330)	107,671
მოგების გადასახადის ხარჯი	13	-	-
წმინდა მოგება/ზარალი		(99,330)	107,671
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(99,330)	107,671

გიორგი შენგელია

გენერალური დირექტორი

3 თებერვალი 2021

სს ჯორჯია დესთინიშენ მენეჯმენტი

ფულადი ნაკადების ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2019	2018
მოგება/ზარალი	(99,330)	107,671
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	57,318	62,279
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	(42,013)	169,950
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	275,527	(517,100)
ცვლილებები გრძელვადიანი მოთხოვნებში	-	359
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	(220,795)	414,902
ცვლილებები გადასახდელი პროცენტებში	-	850
ცვლილებები საგადასახადო აქტივში	31,285	153,806
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	44,005	222,767
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	(16,667)	(13,778)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(16,667)	(13,778)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ცვლილებები გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებებში	(24,086)	(49,655)
ცვლილებები გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნებში	(22,863)	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(46,950)	(49,655)
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	(19,612)	159,334
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	210,870	51,536
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	191,258	210,870

გორგი შენგელია

გენერალური დირექტორი

3 თებერვალი 2021

სს ჯორჯია დესთინეიშენ მენეჯმენტი

ფულადი ნაკადების ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	2019	2018
მოგება/ზარალი	(99,330)	107,671
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	57,318	62,279
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებებამდე	(42,013)	169,950
ცვლილებები სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებაში	275,527	(517,100)
ცვლილებები გრძელვადიანი მოთხოვნებში	-	359
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებაში	(220,795)	414,902
ცვლილებები გადასახდელი პროცენტებში	-	850
ცვლილებები საგადასახადო აქტივში	31,285	153,806
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	44,005	222,767
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული აქტივების შეძენა/ჩამოწერა	(16,667)	(13,778)
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(16,667)	(13,778)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ცვლილებები გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებებში	(24,086)	(49,655)
ცვლილებები გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნებში	(22,863)	-
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(46,950)	(49,655)
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	(19,612)	159,334
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	210,870	51,536
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	191,258	210,870

გიორგი შენგელია

გენერალური დირექტორი

3 თებერვალი 2021

სს ჯორჯია დესთინეიშენ მენეჯმენტი

კაპიტალის ცვლილების ანგარიში

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული

პერიოდისთვის საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	გაუნაწილებელი მოგება	საემისიო კაპიტალი	სულ
31.12.2018		259,377	-	259,377
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		(99,330)	-	(99,330)
დივიდენდის გამოცხადება		-	-	-
31.12.2019	7	160,047	-	160,047

გორგი შენგელია

გენერალური დირექტორი

3 თებერვალი 2021

სს ჯორჯია დესთინეიშენ მენეჯმენტი

კაპიტალის ცვლილების ანგარიში
2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
პერიოდისთვის საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	გაუნაწილებელი მოგება	საემისიო კაპიტალი	სულ
31.12.2018		259,377	-	259,377
პერიოდის წმინდა მოგება (ზარალი)		(99,330)	-	(99,330)
დივიდენდის გამოცხადება		-	-	-
31.12.2019	7	160,047	-	160,047

გიორგი შენგელია
გენერალური დირექტორი
3 თებერვალი 2021

სს ჯორჯია დესთინიშენ მენეჯმენტი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

სს ჯორჯია დესთინიშენ მენეჯმენტი (შემდგომში - "საზოგადოება") დაფუძნდა 2010 წლის 13 აგვისტოს. საიდენტიფიკაციო კოდი: 404869647. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ი.აბაშიძის ქ., N29. საზოგადოების აქციების 71.5%-ს ფლობს სს კავკასიის ტურისტული ჰოლდინგი, ხოლო 28.5%-ს იოსებ ფრიდმანი.

შპს სს ჯორჯია დესთინიშენ მენეჯმენტის (შემდგომში - "საზოგადოება") საქმიანობის საგანია ტურისტული ბიზნესის ოპერირება.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის მენეჯმენტისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

ა) 2016 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

არც ერთ ახალ სტანდარტს, ინტერპრეტაციას ან შესწორებას, რომელიც ეფექტურია 2016 წლის 1 იანვრიდან არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მნიშვნელოვანი ზეგავლენა.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები ბასს 39-ის მიხედვით კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, სესხები და მოთხოვნები, დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები, ან გასაყიდად არსებული ფინანსური აქტივები. კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას.

რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში

ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში, როდესაც ფინანსური აქტივი გამიზნულია სავაჭროდ ან არის განსაზღვრული, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი. ისინი აღიარებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული ხელახალი შეფასების დროს წარმოქმნილი ნებისმიერი შემოსავალით ან ზარალით, რომლებიც აღიარდება მოგება-ზარალში.

კომპანიას გააჩნია ვაჭრობისათვის გამიზნული აქტივები და ნებაყოფლობით აქვს კლასიფიცირებული ფინანსური აქტივები, როგორც რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივი მოგებასა ან ზარალში.

სესხები და მოთხოვნები

ეს აქტივები წარმოადგენს არაწარმოებულ ფინანსურ აქტივებს ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადასახდელებით, რომელთა ფასი არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. მათი თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან, ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივების შესყიდვები და გაყიდვები აღიარდება შეძენის თარიღისათვის, ვაჭრობისა და შესყიდვის თარიღებს შორის. რეალური ღირებულების ნებისმიერი ცვლილება აღიარდება გასაყიდად გამიზნული აქტივების რეზერვებში. გაყიდვისას სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული კუმულაციური შემოსავალი ან ზარალი რეკლასიფიცირებულია გასაყიდად არსებული რეზერვებიდან მოგება-ზარალში.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მაშინ, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; ან (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებით რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე არადაკავშირებულ მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

(ბ) ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც კომპანიის მიმართ არსებული ვალდებულებები. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, შემცირებული ტრანზაქციების ხარჯებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი წარმოადგენს ფინანსური ვალდებულების

ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და ასევე საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე განაწილებისათვის გამოყენებულ მეთოდს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში გადასახდელ ფულად სახსრებს ფინანსური ვალდებულების მომსახურების ვადის განმავლობაში, ან (სადაც საჭიროა) მოკლევადიანი პერიოდის განმავლობაში, საწყისი აღიარების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

(გ) გადახურვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადახურული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს კანონიერი უფლება, რომ გადაიფაროს აღიარებული თანხები და კომპანიას აქვს განზრახვა ზემოთხსენებული თანხები წარადგინოს ნეტო თანხით ან გაყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება ფასდება ისტორიული ღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთის თანხით. კაპიტალიზდება მნიშვნელოვანი ნაწილების გამოცვლის ხარჯები, ხოლო გამოცვლილი ნაწილის ღირებულებები ჩამოიწერება.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებები გადაიხედება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, რათა გადამოწმდეს, ხომ არ არის აღიარებული ანაზღაურებად ღირებულებაზე მეტად. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი გამოყენებად ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის.

როდესაც მიმდინარე ღირებულება გადააჭარბებს განსაზღვრულ ანაზღაურებად ღირებულებას, აქტივი ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების

აღიარება ხდება შესაბამის პერიოდში და აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში. წინა პერიოდებში ძირითადი საშუალებების გაუფასურებით მიღებული ზარალი გადაიხედება თუ შეიცვლა ვარაუდები, რომელიც გამოყენებულ იქნა ძირითადი საშუალებების გამოყენებადი ღირებულების ან რეალურ ღირებულებას გამოკლებული სარეალიზაციო ღირებულების განსასაზღვრად.

გაყიდვით გამოწვეული მოგება და დანაკარგი, რომლებიც განისაზღვრება საბალანსო ღირებულების სანაცვლო ღირებულებასთან შედარებით, აღიარდება მიმდინარე წლის მოგება-ზარალში.

ცვეთა გამოითვლება აქტივების სავარაუდო საექსპლოატაციო ვადის შესაბამისად განსაზღვრული საპროცენტო განაკვეთით.

	%
შენობები	5
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	20
მანქანა-დანადგარები	15

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

კაპიტალი & დივიდენდები

კაპიტალი შედგება გაუნაწილებელი მოგებისაგან. საანგარიშგებო პერიოდში არ მომხდარა დივიდენდის გაცემა.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს პერიოდის მოგების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებების ჯამს. მიმდინარე გადასახადელი გადასახადი დაფუძნებულია დასაბეგრ მოგებაზე. დასაბეგრი მოგება განსხვავდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი მოგებისგან, რადგან არ მოიცავს იმ შემოსავლებს და ხარჯებს, რომლებიც არ იბეგრება ან არ გამოიქვითება მიმდინარე პერიოდში და იგი ძირითადად დამოკიდებულია გაცემული დივიდენდის ოდენობაზე.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით,

საანგარიშგებო პერიოდისთვის, საქართველოში რეგისტრირებული კონპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

ორგანიზაციის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

შემოსავალი

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. ქონების რეალიზაციითა და იჯარით მიღებული შემოსავალი აღირიცხება, როგორც საოპერაციო შემოსავალი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია

ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში არსებული ვალუტით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს („ფუნქციური ვალუტა“). ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც არის კომპანიის ფუნქციური და წარსადგენი ვალუტა.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციურ ვალუტაში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს 2019-2018 წლის 31 არსებულ ოფიციალურ გაცვლით კურსებს:

	დოლარი	ევრო
გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.87	3.21
გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.68	3.07

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ასევე მოვლენები ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე, რომელიც გვაწვდის დამატებით ინფორმაციას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შესახებ შეტანილია ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი არსებითი მოვლენები, რომლებიც არ ახდენენ გავლენას კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის დღისათვის, ასევე წარმოდგენილია ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში.

4. ძირითადი საშუალებები

	მანქანა - დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ტრანსპორტი	ჯამი
ისტორიული ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	70,484	29,282	177,201	276,967
შეძენები	22,656	127	-	22,783
გასვლა	-	-	-	-
ისტორიული ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	93,140	29,409	177,201	299,750
აკუმულირებული ცვეთა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(45,957)	(20,932)	(96,077)	(162,966)
ცვეთა	(16,004)	(5,872)	(35,442)	(57,318)
ჩამოწერა				-
აკუმულირებული ცვეთა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(61,961)	(26,804)	(131,519)	(220,284)
საბალანსო ღირებულება				
ნაშთი 12/31/2018	24,527	8,350	81,124	114,001
ნაშთი 12/31/2019	31,179	2,605	45,683	79,467

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2019-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შესაბამისად:

	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,009,708	929,459
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	148,581	96,014
საექვო მოთხოვნების ანარიცხი	(408,342)	-
ჯამი	749,947	1,025,474

2019 და 2018 წლებში მოძრაობები მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში და ანარიცხების რეზერვებში შესაძლოა შემდეგი სახით შეფასდეს:

2018 წლის 31 დეკემბერი	-
შექმნილი ანარიცხები, წმინდა	408,342
ანარიცხების ჩამოწერა	-
2019 წლის 31 დეკემბერი	408,342

6. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები 2019-2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	12,610	5,744
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	107,667	20,372
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	70,981	184,754
ჯამი	191,258	210,871

7. კაპიტალი

კომპნიის საწყისი გაუნაწილებელი მოგება შეადგენს 259,377 ლარს, ხოლო 2019 წლის საანგარიშგებო პერიოდში დაგროვილმა ზარალმა შეადგინა 99,330 ლარი.

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019-2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.12.2019	31.12.2018
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	776,359	1,013,886
მიღებული ავანსები	342,231	304,183
გადასახდელი ხელფასები	8,928	30,243
ჯამი	1,127,518	1,348,313

9. შემოსავალი

შემოსავალი 2019-2018 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019	2018
შიდა ტურები	14,917,866	19,947,413
შემოსავალი ავიახაზების სააგენტო მომსახურებიდან	3,010,196	2,111,183
შემოსავალი ბილეთებიდან	-	-
გარე ტურები	-	-
შემოსავალი ექსკურსიებიდან	426,269	893,868
სხვა შემოსავალი	3,999	58,909
სულ	18,358,330	23,011,374

10. თვითღირებულება

თვითღირებულება 2019-2018 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019	2018
სასტუმრო მომსახურების ხარჯი	9,516,262	13,956,183
შრომის ანაზღაურება	2,715,160	2,012,423
ტრანსპორტირების ხარჯი	1,873,426	2,454,218
კვებითი მომსახურების ხარჯი	600,244	673,506
დაცვის ხარჯი	256,073	182,946
საექსკურსიო მომსახურების ხარჯი	167,588	242,520
სხვა თვითღირებულება	96,657	942,448
სულ	15,225,410	20,464,245

11. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2019-2018 წლებისთვის შეიძლება წარდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2019	2018
ხელფასები	968,600	1,395,092
ცვლილება მოთხოვნების ანარიცხებში	408,342	-
იჯარის ხარჯი	180,805	192,778
რეკლამის ხარჯი	236,859	-
კომუნიკაციის ხარჯები	76,188	73,071
პროგრამული უზრუნველყოფის ხარჯი	63,634	7,615
საკონსულტაციო ხარჯი	953,418	295,957
ცვეთა და ამორტიზაცია	62,854	62,279
მივლინების ხარჯი	54,880	90,820
სხვა საოპერაციო ხარჯები	210,097	210,729
სულ	3,215,677	2,328,341

12. წმინდა მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან

წმინდა მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან 2019-2018 წლებისთვის წარდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
კურსთა შორის სხვაობით მოგება		
ფული	15,057	-
დარიცხული მოთხოვნები	61,615	-
დარიცხული დავალიანება	1,036	-
სულ	77,708	-
კურსთა შორის სხვაობით ზარალი		
ფული	(53,896)	(127,232)
დარიცხული მოთხოვნები	(66,580)	-
დარიცხული დავალიანება	(7,630)	-
სულ	(128,106)	(127,232)
წმინდა მოგება / (ზარალი) კურსთაშორისი სხვაობიდან	(50,398)	(127,232)

13. მოგების გადასახადის ხარჯი

კომპანიის მოგების გადასახადმა საანგარიშგებო პერიოდში შეადგინა 0 ლარი (2018: 0 ლარი).

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს საგადასახადო კოდექსში მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც ძირითადად ეხება მოგების გადასახადით დაბეგვრას. სხვა დაბეგვრის რეჟიმებთან ერთად, ცვლილებებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის ის, რომ დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. საგადასახადო სისტემის ასეთი ცვლილების შემდეგ, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს აღარ აქვთ დროებითი სხვაობები საგადასახადო კუთხით არსებულ აქტივებსა/ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, შესაბამისად აღარ წარმოიქმნება გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი და ვალდებულება. პირობითი მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მომავალ პერიოდში მოგების განაწილების შედეგად, არ არის აღიარებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ოპერაციები მმართველ რგოლთან

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც ჩართულია სახელფასო ხარჯებში:

	2019	2018
მმართველი რგოლის შრომის ანაზღაურება	81,260	90,906

ოპერაციები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან

ქვემოთ მოცემულია 2019 და 2018 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ განხორციელებული ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან:

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები:	2019	2018
შემოსავლები	207,505	-
ხარჯები	120,186	134,840
სულ	327,691	11,032,376
საერთო კონტროლს დაქვემდებარებული კომპანიები:	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	61,356	94,109
სულ		

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2021 წლის 3 თებერვალს.

ბალანსის შემდგომ ადგილი არ ქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც საჭიროებენ ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებას.

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, კორონავირუსის (COVID 19) პანდემიის შედეგად მიღებულ ეკონომიკური საქმიანობის ამჟამინდელ შენელებაზე და მის ფინანსურ ზემოქმედებაზე სუბიექტის სამომავლო პერსპექტივების მიმართ.

კორონავირუსის (COVID 19) პანდემიამ მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადამიანის ცხოვრებაზე, რაც ხელს უშლის ლოგისტიკური ჯაჭვების წარმოქმნასა და ამცირებს საგარეო და საშინაო მოთხოვნილებას. ამასთანავე იზრდება რისკის შეუფასებლობა და გაურკვევლობა მომავლის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლოდროინდელი საშინაო და გლობალური მოვლენები ვირუსის შედეგად არის გამოწვეული, ჩვენ დროულად განვიხილეთ და გადავხედეთ კომპანიის სამომავლო რისკებს. დღეისათვის, ამ კრიზისის გავლენა ადგილობრივ ინდუსტრიასა და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე, რჩება ბუნდოვანი. შესაბამისად, ფინანსური და საოპერაციო მოქმედებები ერთეულის სამომავლო პერსპექტივაზე ამჟამად ვერ განისაზღვრება.